პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 აპრილი ხუთშაბათი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 99 (15009)

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა გეჭიროთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, მთელი ძალღონე და ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა აღზრდას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ეს ფოტოსურათები გადაიღეს ზაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტებმა ვლ. გინზბურგმა და გ. გოგოხიამ გუშინ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც მუშაობდა საქართველოს მწერალთა მეშვიდე ყრილობა. სურათებზე: ზემოთ — ყრილობის სხდომათა დარბაზში; ქვემოთ ყრილობის მონაწილენი, მარცხნიდან — დ. კვიცარიძე (ქუთაისი), ფ. ხალვაში (ბათუმი), ვ. სოლოუხინი (მოსკოვი), ი. თარბა (სოხუმი), თ. ბაგლიევი (ცხინვალი).

საქართველოს მწერალთა VII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს მწერალთა VII ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული სიტყვის ყველა ოსტატს, გისურვებთ ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს ჩვენი დიადი სამშობლოსა და სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. პარტიულობის, ხალხურობის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულმა ქართველმა მწერლებმა შექმნეს არაერთი მკაფიო ნაწარმოები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. თქვენი საუკეთესო წიგნები სიმართლით და ნიჭიერად ასახავენ ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ ძვრებს, რომლებიც მოხდა საბჭოთა საქართველოში 50 წლის მანძილზე.

ყრილობა შეიკრიბა იმ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი შეუდგა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ყრილობის დოკუმენტებში მოცემულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განუხრელი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გაშლილი პროგრამა.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დაკავშირებული მშრომელთა მაღალ იდეურ დონესა და პოლიტიკურ შეგნებულობაზე. ახალი ადამიანის აღზრდაში პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ლიტერატურას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც მოწოდებული არიან ქმნიდნენ საბჭოთა სინამდვილის ამსახველ მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

ქართველი მწერლები, სოციალისტური რეალიზმის რევოლუციური მეთოდით შეიარაღებულნი, კვლავაც უნდა იდგნენ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში, თავიანთი ნიჭითა და მოქალაქეობრივი პათოსით ემსახურებოდნენ ჩვენი ხალხის, ლენინური პარტიის დიად საქმეს.

საქართველოს მწერალთა VII ყრილობაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი საკითხების ღრმა და საქმიანი განხილვა ხელს შეუწყობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნაკლოვანებათა დაძლევას და მის შემდგომ აღმავლობას.

მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, ცხოვრების მოვლენათა მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან გააზრებასა და განზოგადებაში, მხატვრული ოსტატობის სრულყოფაში დახმარება საქართველოს მწერალთა კავშირის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების აღზრდას.

თქვენ, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის საახელოვანი ტრადიციების ღირსეულ განმგრძობთ, ხელთა გაქვთ ბასრი იარაღი — მხატვრული სიტყვა, რომელიც სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მუშაობაში წარმატებას უსურვებს რესპუბლიკის მწერალთა VII ყრილობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ქართველი მწერლები კვლავაც სიმართლით, შთაგონებით, მაღალმხატვრულად ასახავენ ჩვენი დროის, სოციალისტური ეოფის სიდიადეს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

დარგაზოგა ვ. პ. მჟავანაძესთან

28 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** შეხვდა საქართველოში სტუმრად მყოფ საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფს.

შეხვედრაზე იყვნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ვ. ტომსკი**, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი **პ. მ. სისოევი**, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრები **თ. პ. რეშეტნიკოვი** და **ვ. ფ. რინდინი**, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დ. კ. მიჩალკი**.

სტუმრებთან ერთად იყვნენ საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი **უ. მ. ჯაფარიძე**, საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი **ვ. ბ. თოფურიძე** და საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **კ. მ. მერაბიშვილი**.

ვ. პ. მჟავანაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს და ესაუბრა მათ, თუ როგორ აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა. არნახული პოლიტიკური შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, — აღნიშნა ვ. პ. მჟავანაძემ, — ქართველი ხალხი ეგებება თავის დიდ დღესასწაულს — საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა ქართველი და რუსი ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, თქვა მან, ულღვეევია, იგი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ჩვენი ეროვნული კულტურების განვითარებასა და გამდიდრებას.

ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატთა წარმატებებზე, ქართული კერამიკისა და ოქრომჭედლობის აღორძინებაზე.

საუბრის დასასრულს ვ. პ. მჟავანაძემ სტუმრებს უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი კეთილშობილურ შრომაში.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფის სახელით სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა **ნ. ვ. ტომსკიმ** მადლობა გადაიხადა გულთბილი, გულითადი მიღებისათვის. მან თქვა, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ძველი ქართული ძეგლების გაცნობამ, ილაპარაკა, თუ როგორ არის დაყენებული სწავლება რესპუბლიკის სამხატვრო აკადემიასა და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში.

— საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის იუბილეს წინ, — თქვა ნ. ვ. ტომსკიმ, — ახალ დიდ წარმატებებს ვუსურვებთ ქართველ ერს კომუნისტურ მშენებლობაში. (საქმესა).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

□ □

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ და ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროს“ გადაეცათ ქიმიური ,ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების, ქიმიური და ნავთობის, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, ცელულოზა-ქაღალდის, მიკრობიოლოგიური მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, კვების, თევზის, ხორცისა და რძის მრეწველობის, სათბობის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ამირანაშვილს ვახტანგ ალექსანდრეს-ძეს — ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ზეინკალთა ბრიგადირს.

გლიაძეს ოთარ ილიას-ძეს — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

კოწიწაშვილს ელენე გიორგის ასულს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავს.

მჭედლიშვილს არჩილ ალექსის-ძეს — თბილისის ხორცკომბინატის მუშათა ბრიგადირს.

თევზაძეს რევაზ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს მადნეულის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის უფროსს.

შუბითიძეს ალექსი ვასილის-ძეს — ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის მინის მდნობელთა ბრიგადირს.

ლიოსშესანიშნავ დღეებში შეიკრიბა საქართველოს მწერალთა VII ყრილობა. ახლახან დამთავრა მუშაობა სკკპ XXIV ყრილობამ, რომელიც საბჭოთა ხალხის ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა იყო. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მხატვრული შემოქმედების პრობლემებს, ხალხის სულიერ ზრდას.

საქართველოს მწერალთა ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნის ყველა შემოქმედებით მოღვაწესთან ერთად მთიანად იწონებს პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სანავს მშობლიური ლიტერატურის განვითარების შემდგომ გზებს.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის იყო თავისი ხალხის ცხოვრების ავანგარდში. მან მთლიანად მოიტანა ჩვენამდე მხატვრულ ტილოებზე ასახული მთელი ისტორია. ქართველ მწერალთა ბევრი ნაწარმოები დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები და მხატვრული სიტყვის ძეგლებია, რომლებიც თაობებს გადასცემენ ხალხის დიდ რომანტიკას, გმირობას, მის წარმატებებს შრომაში. საქართველოს მწერლებს ახლა უმაღლეს დანიშნულებად, პატრიოტულ მოწოდებად მიაჩნიათ ის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, კომუნიზმისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

რამდენიმე დღე გვაშორებს დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. ქართული საბჭოთა ლიტერატურა — ხალხის ცხოვრების მატიანე — ამ საიუბილეო დღეებში ანგარიშს აბარებს პარტიას, ხალხს, რომლებისადმი სამსახური მას მიაჩნია თავის უპირველეს ამოცანად. კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმისადმი მუდმივი სამსახური მწერლებისათვის იმ შთაგონების წყაროა, რომელიც მათს შემოქმედებას ანიჭებს რევოლუციურ ოპტიმიზმს, უძლეველ რეალისტურ ძალას, მაღალ ზნეობრივ ღირსებებს. საქართველოს მხატვრული სიტყვის ოსტატები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მშრომელ ადამიანებთან, და ეს განუხრელად მზარდი კავშირი ამდიდრებს მათს მხატვრულ შემოქმედებას.

ხუთმა წელმა განვლო საქართველოს მწერალთა VI ყრილობის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა გამდიდრდა მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. ცნობილ ოსტატებთან ერთად წარმატებებს მიაღწია ნიჭიერმა ახალგაზრდობამაც. ქართველ მწერალთა ბევრმა ნაწარმოებმა პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთ.

საქართველოს მწერალთა ფორუმი ვაიხსნა გუშინ, 28 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ვქმნიდეთ ხალხისათვის, ხალხის სადიდებლად

ვაიხსნა საქართველოს მწერალთა VII ყრილობა

აქ შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები, მრავალრიცხოვანი სტუმრები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ თანამოკალმენი — მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს უსუცესმა მწერალმა ს. შანშიაშვილმა.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები წუთიერი დუმილით პატივს სცემენ გარდაცვლილი მწერლების ხსოვნას.

ირჩევენ ყრილობის სამუშაო ორგანოებს: პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან აბსანაგები მ. გოგიჩაიშვილი, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, ა. ჩარკინი, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები დ. გოგოხია, ო. ჩერქეზია, დ. ჩხიკვიშვილი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივნები, ცნობილი რუსი მწერლები, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ტიხონოვი და კ. სიმონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. აუზემნაო, გამოჩენილი რუსი მწერლები ბ. პერცოვი, ვ. სოლოუხინი, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ლიტვიდან, ლატვიიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან ჩამოსული სტუმრები, ქართველი მწერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს.

მტკიცდება შემდეგი დღის წესრიგი:

1. 1966-1971 წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მისი განვითარების ამოცანები (საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეების საანგარიშო მოხსენება)

თანამოხსენებანი:

ა) ქართული პროზა
ბ) ქართული პოეზია
გ) ქართული დრამატურგია
დ) ქართული კრიტიკა
ე) ქართული საბავშვო ლიტერატურა
ვ) თარგმნილი ლიტერატურა

2. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

3. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და მწერალთა V სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს მწერალთა ყრილობისადმი, რომელსაც შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

საანგარიშო მოხსენება „1966-1971 წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მისი განვითარების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ.

ყრილობამ მოისმინა თანამოხსენებანი საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ს. ჭილაიასი — ქართული პროზის შესახებ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ი. ნონეშვილისა — ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ, პროფესორ ბ. ბაჩიჩილავაძისა — თარგმნილი ლიტერატურის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ხარვეზიანი კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ მწერალმა ბ. ჩხეიძემ.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: მწერალი-აკადემიკოსი დ. შენგელაია, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ქართული ლიტერატურის დიდ მეგობარს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს ნ. ტიხონოვს. მან ყრილობის მონაწილეებს და მათი სახით ყველა ქართველ მწერალს — საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე რაზმს — გადასცა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, საბჭოთა მწერლების დიდი არმიის ძმური, მგზნებარე სალამი.

ამით საქართველოს მწერალთა VII ყრილობის მუშაობის პირველი დღე დამთავრდა.

29 აპრილს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქმესა).

დიდი პაპრიოტული აღმავლობით

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომპანია. წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებებზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ერთგულება ხალხის ინტერესებისადმი, კომუნიზმის დიადი იდეალებისადმი.

რუსეთის სფსრ

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში წინასაარჩევნო კრებაზე დიდი ერთსულოვნების ვითარებაში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და „დინამოს“ ქარხნის ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ალექსანდრა ანდრიას ასული ლავრენტიევა.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ავრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიტბორის-ძე პოდგორნი და ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის „იზმაილოვოს“ დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი ალექსი მიხეილის-ძე ბელოვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და გაერთიანება „ტრუდის“ როსტოკინოს ბეჭვეულის კომბინატის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ვერა სტეფანეს ასული ცაკალოვა.

დიდი აქტივობით ჩატარდა წინასაარჩევნო კრებები ლენინგრადში. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია პეტრეს-ძე კირილენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კირილ ტროფიმეს-ძე მაზუროვი.

საქართველოს სსრ

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანაში. საწარმოს საზეიმოდ მორთულ კლუბში შეიკრიბნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ.

სიტყვა ეძლევა მექანიკური საამქროს ხარატს ა. ხარიტონაშვილს. მას წინადადება შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საწარმოს კოლექტივისაგან თბილისის № 2 საარჩევნო საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პეტრეს-ძე მჟავანაძე.

ამ წინადადებას კრების მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან, ორატორმა გულთბილად ილაპარაკა ვ. პ. მჟავანაძეზე, როგორც თავისი ხალხის სახელოვან შვილზე. ვ. პ. მჟავანაძე ბევრ ძალ-ღონეს და ენერგიას აბაზარს ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით ქართველმა ხალხმა დიდი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში.

ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე ამწყობი ზეინკალი ა. ლავროვსკი, ქარხნის დირექტორი დ. კიკნაძე. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურის დასახელებას და აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება არის დიდი მოვლენა, იგი მიმდინარეობს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს.

ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ამხ. ვ. პ. მჟავანაძე დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქში და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საოკომოტივო დეპოს მემანქანე გენადი მიხეილის-ძე გოგვაძეს დეპოს კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 37 ჯანაშიას საარჩევნო ოლქში დასახელონ ზარჩინებული მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ემონი ბეგლარის ასული სოლომონია.

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი ემონი კაპიტონის ასული ჩხეიძე ამ საწარმოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა თბილისის № 40 კიროვის საარჩევნო ოლქში.

„თბილისთბილშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 49 პავლოვის საარჩევნო ოლქში დასახელა ამ სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი შოთა ბაბრიელის-ძე ჩხეტიაშვილი.

„საქაქიდროენერგომშენის“ ტრესტის დამმხარე საწარმოთა კომბინატის წინასაარჩევნო კრებაზე მიღებულია დადგენილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 65 კახეთის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ბუბული ზაქარიას-ძე ჭიპაბრაშვილი.

კახეთის ტემენტის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების საკითხი და გადაწყვიტა საწარმოს კოლექტივისაგან დეპუტატობის კანდიდატად კახეთის რაიონის № 82 კახეთის საარჩევნო ოლქში დასახელოს შიფრის საამქროს უფროსი მემანქანე ვარდენ დავითის-ძე მანანეულაშვილი.

ბორის საკონსერვო კომბინატის ერთ-ერთ წამყვან საამქროში გაიმართა კვების მრეწველობის ამ დიდი საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება. ბორელმა ვეკონსერვრეებმა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ წარმომადგენლად ქალაქ ბორის № 95 ჯაჯანაძის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დასახელეს კომუნისტური შრომის დამკვიდრი ნორა იპასნეს ასული ბერიკაშვილი.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საოკომოტივო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხაშურის რაიონის № 102 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ დეპოს მოწინავე მემანქანე ავთანდილ ვლადიმერის-ძე ფიფიაშვილი.

ბაიმართა თეთრწყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება. კრებამ დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თეთრწყაროს რაიონის № 137 ასურეთის საარჩევნო ოლქში დასახელონ კოლმეურნეობის ტრაქტორისტი აპაკი იოსების-ძე ქინაძეგაშვილი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგალინავი საამქროს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ „რუსთავის № 152 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია პეტრეს-ძე კირილენკო და მილსაგალინავი საამქროს „400“ დანის უფროსი მეალიკავი დავით პლეტანდრეს-ძე გეორგიშვილი.

დუშეთის რაიონის არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ წარმომადგენლად დუშეთის რაიონის № 161 ციხეულის საარჩევნო ოლქში გაეწიანონ ამ საბჭოთა მეურნეობის მუშა ბაბულია დიმიტრის ასული მთიულეშვილი.

ბურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კირთვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე ქენია ფაალობას ასული კიტოშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია კაჭრეთის რაიონის № 170 კაჭრეთის საარჩევნო ოლქში სოფელ კაჭრეთის კირთვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის პარაზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის რაიონის 175 საქალაქო საარჩევნო ოლქში დასახელოს ამ კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ესაუმ ქარუშის-ძე მაზნიაშვილი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლაგოდეხის რაიონის № 184 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ კოლმეურნეობის მეთამბაქოე შალვა ივანეს-ძე ბარბაქაძე.

(დასასრული მე-2 გვ.).

დიდი პატრიოტული აღმავლობით

(დასასრული).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი კრება ჯაიმართა ჭინქმარაულის მეგვანსიობის საბჭოთა მეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობის კოლეგიჩრვა გადაწყვიტა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ყვარლის რაიონის № 190 ყვარლის საარჩევნო ოლქში თავის წარმომადგენლად დასახელოს საბჭოთა მეურნეობის მეკვანსი ნმრი ბილრბის ასული ხუციშვილი.

თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა განხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი და გადაწყვიტეს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად თელავის რაიონის № 193 ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საწარმოს კომუნისტური შრომის დამკვრელი მსმა ნიკოლოზის ასული ბეგორიძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძემ და ქალაქ თელავის № 6 მეჯანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე მიხეილ ილიას-ძე სულიკაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისადმი ერთსულოვნად დაუჭერეს ხელი.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატი სოციალისტური შრომის გმირი ნაპარა ანდრიას ასული ყუფუნია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის რაიონის № 309 ნარაზენის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზეკვეგრძმა.

გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის მუშებმა ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში № 316 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამ ფაბრიკის ბრიგადირი ქსენია არტემის ასული გეფეჭკორი.

ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მიხაილ კლაკონის ასული ტაბაღუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ქალაქ ფოთის № 323 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში, მისი კანდიდატურა დასახელეს ამ საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე.

№ 6 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა განხილა რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების საკითხი და ერთხმად დაადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 329 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და ხუროთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ივანეს ალექსანდრეს-ძე ცვარი.

გაიმართა გუდაუთის ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის № 343 გუდაუთის საარჩევნო ოლქში დაასახელონ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობა „ლიხნის“ მერგოლური სვეტლანა ძიმბინის ასული გენბა.

ონაჩიერის რაიონის № 356 მოქმედის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ონაჩიერის რაიონის სოფელ თხინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დასახელეს ახალგაზრდა მეჩაიე ნანული მახარაძის ასული ბიგვავა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი და ბათუმის გიმოსაშენებელი ქარხნის ზეინკალი რამიზ მამედის-ძე მალაშაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ ბათუმის № 367 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელეს ბათუმის გიმოსაშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ლიდვის ოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე ქობულეთის რაონის № 375 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი მიხეილ სულიმანის-ძე ირმამაძე.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ამ საწარმოს ბრიგადირი ლამარა ილიას ასული ჯვარშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ხელვაჩაურის რაიონის № 379 მახინჯაურის საარჩევნო ოლქში.

ჯაიმართა ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება. კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ცხინვალის № 391 კარლ მარქსის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი და ამ საწარმოს კომუნისტური შრომის დამკვრელი ზარეშ ბრიბოლის ასული სანაკო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

27 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, სხდომას თავმჯდომარეობდა ამ კომისიის თავმჯდომარე გ. წულაია.

კომისიის წევრებმა მოისმინეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის კ. ქავთარაძის ინფორმაცია. საარჩევნო კამპანიის დღეებში ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ზუსტი და შეუფერხებელი კავშირგაბმულობით, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. ორატორმა აღნიშნა, რომ ყველა იმ საკითხის ოპერატიული გადაჭრისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო კამპანიის კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფასთან, 1971 წლის მარტში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკისათვის შემოღებულია სპეციალური პაროლი „არჩევნები“, ხოლო დეპეშები და საფოსტო გზავნილები აღნიშნით „საარჩევნო“ უნდა დამუშავდეს პირველ რიგში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ოთხასივე საარჩევნო ოლქი მთლიანად ტელეფონიზირებულია. ხორციელდება ღონისძიებანი ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის სატელეფონო და კავშირგაბმულობის საშუალებებით მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის.

